საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება
№ 173

ქ. ქუთაისი 28 თებერვალი 2018 წ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ

დამტკიცებულ იქნას სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის პრინციპები თანდართული ფორმით.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი : პროფ. სულხან კუპრაშვილი

პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

აკადემიური პერსონალის ოდენობის დაგეგმვის დროს, გაითვალისწინება შემდეგი მონაცემები და მაჩვენებლები:

1. ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა (აწსუ რექტორის #01-04/44, 06.07.2017 ბრძანების შესაბამისად);
2. აკადემიური ჯგუფის საშუალო კვირეული დატვირთვა (18-23 სთ);
3. ასოცირებული პროფესორების[1] საშუალო კვირეული დატვირთვა (8-10 სთ). იანგარიშება: ასოცირებული პროფესორის საშუალოწლიური დატვირთვა (240-250 სთ) იყოფა სასწავლო კვირეების ოდენობაზე;

გარდა ამისა, ცალკეული დეპარტამენტის მიხედვით, იანგარიშება „სტუდენტ/კრედიტის“ მაჩვენებელი. აღნიშნულის გათვლის დროს, ვითვალისწინებთ, რომ მთელი რიგი სასწავლო კურსები ატარებს საერთო-საუნივერსიტეტო ხასიათს (მაგ.: უცხო ენა, ინფორმატიკა, მათემატიკა, ფილოსოფია, ისტორია და ა.შ.). შესაბამისად, იანგარიშება არა მხოლოდ სტუდენტთა ის ოდენობა, რომელიც ამა თუ იმ პროგრამაზე არის, არამედ ის რაოდენობაც, რომელსაც ემსახურება რაიმე ფორმით კონკრეტული დეპარტამენტი.

ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, ხდება გაანგარიშება აკადემიური საშტატო ერთეულების იმ ოდენობისა, რომელიც მიემაგრება კონკრეტულ პროგრამას, დეპარტამენტს, კონკრეტული პერიოდისათვის. კერძოდ:

$$SC = N_s * C / N_p$$

სადაც,

SC - არის სტუდენტ/კრედიტის მაჩვენებელი,

N_s - ჯგუფში სტუდენტთა საშუალო ოდენობა (27,5)

C - კრედიტების წლიური ოდენობა

N_p - 1 აკადემიური ჯგუფის მომსახურებისათვის სასწავლო წლის განმავლობაში საჭირო პროფესორების ოდენობა (საშუალოდ)

შესაბამისად, აწსუ-ში დადგენილი ნორმების შესაბამისად, 1 აკადემიური საშტატო ერთეულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა იქნება 27,5 * 60/2 = 825 სტუდენტ/კრედიტი.

აკადემიური კონკურსების დროს, ცალკეული მიმართულებით გამოსაცხადებელი აკადემიური თანამდებობების ოდენობების გასაანგარიშებლად, წინასწარ გამთვლილი სტუდენტ/კრედიტის მაჩვენებელი იყოფა პირობით კოეფიციენტზე - 920. ამ უკანასკნელის გაანგარიშება ეყრდნობა შემდეგ ლოგიკას: ყოველ აკადემიურ პირს აქვს უფლება, 5 წელიწადში ერთხელ, ისარგებლოს აკადემიური შვებულებით (კვალიფიკაციის ამაღლების, სამეცნიერო-კვლევითი სამუსაოების წარმართვის, მონოგრაფია-სახელმძღვანელოების შექმნისათვის და ა.შ.). ე.ი. ყოველ 10 წელიწადში, მას უნდა ჰქონდეს 1 წლის ამ მიზნით გამოყენების შესაძლებლობა. გარდა ამისა, უნივერსიტეტი გამუდმებით უნდა ზრუნავდეს ამღალკვალიფიციური კადრის მოზიდვაზე (საშტატო ერთეულის დაკავების გარეშეც) სხვადასხვა მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება-განვითარებასთან დაკავშირებული რისკების პრევენცირება-დაზღვევაზე და ა.შ.

---

[1] ასოცირებული პროფესორები შეადგენენ აწსუ აკადემიური პერსონალის ფაქტობრივ უმრავლესობას, ამიტომ გაანგარიშების წარმოების დროს გათვალისწინებულია მათი ოდენობები. გაანგარიშებით გამოდის, რომ 1 აკადემიური ჯგუფის მომსახურებას სასწავლო წლის განმავლობაში, საშუალოდ სჭირდება 2 ასოცირებული პროფესორი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ხდება წინასწარ გათვლილ სტუდენტ-კრედიტის მაჩვენებელზე (825), რისკის დაზღვევის პირობითი კოეფიციენტის, დაახლოებით 10-12%ის, მიყენება (რაც გვაძლევს: 825 + 825*0,12 ≈ 920-ს) და საკონკურსო საშტატო ერთეულების გამოთვლა.

დანართი 1. საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯის გაანგარიშების ფორმა

#	პროგრამის სტრუქტურული ერთეული	მოცულობა კრედიტებში	1 კრედიტის მოცულობა (სთ.)	საათობრივი დატვირთვა			ყოველწლიური ხარჯი														
				სულ პროგრამის	საკონტაქტო პროგრამის	საკონტაქტო 1 წლის	აკადემიური ხელფასი	პრაქტიკის ანაზღაურება **	ადმინ. და დამხმ. პერსონალის ხელფასი ***	სხვადასხვა ხარჯი						დაფინანსება ალტერნატიული წყაროებიდან ******	სულ ხარჯი	რისკების დაზღვევა %	სულ წლიური ხარჯი პროგრამის მიხედვით	სწავლის ქირა	სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობა ჯგუფში
										კომუნალური	აწსუ სტიპენდია	გადასახადები	ინფრასტრუქტურა და ლაბორ. აღჭურვილობა ****	სხვა ხარჯი *****	სულ						
1	სასწავლო კომპონენტი	220	25	5500	2200	550	28875,0	300	3000	1000	1800	1100	5000	3000	11900						
2	პრაქტიკა	10	25	250	25	6,25															
3	კვლევითი კომპონენტი	10	25	250	50	12,5	656,3														
						0	0,0											0,1			
	სულ	**240**		**6000**	**2275**		**29531,3**	**300**	**3000**	**1000**	**1800**	**1100**	**5000**	**3000**	**11900**		**44731**	**4473,1**	**49204,4**	**2250,0**	**22**

* - აწსუ-ს ასოცირებული პროფესორის სახელფასო სარგოს და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობის მიხედვით

** - აღნიშნული ხარჯი გათვლილია პრაქტიკის ობიექტისათვის აწსუ-ს მიერ გადასახდელი თანხიდან

*** - წლის განმავლობაში დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯი გამოთვლილია 1 აკადემიურ ჯგუფზე გაანგარიშებით.

**** - წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი გამოთვლილია 1 აკადემიურ ჯგუფზე გაანგარიშებით.

****- სხვა ხარჯებში შედის ყველა სხვა ტიპის ხარჯი (მაგალითად, სახარჯო მასალები და მარაგები)

*****- ინფრასტრუქტურა ალტერნატიული წყაროებიდან გულისხმობს სხვადასხვა წყაროებიდან მოზიდული ქონების, დაფინანსების, შეღავათების მთლიან მოცულობას კონკრეტული წლისათვის, რომელიც პროგრამის ხარჯს ემატება, მაგრამ არ ზემოქმედებს კონტინგენტის განსაზღვრაზე.

შენიშვნა: წითელი შრიფტით, ყვითელ ფონზე, აღნიშნულია ცვლადი პარამეტრები, რომელზეც უნდა დაზუსტდეს ყოველი პროგრამის მიხედვით.